სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/116

ქ. თბილისი

19 ივლისი 2024წ

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წლის დაწყების თარიღის განსაზღვრისა და აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, ვიცე-რექტორის,ქალბატონ თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 19 ივლისის №01-05-02/21 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2024-2025 სასწავლო წელი დაიწყოს 2024 წლის 16 სექტემბერს.
2. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი დანართში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი

სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2024-2025 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

1. პირველკურსელთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია:

1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა – 2024 წლის 4-15 სექტემბერი;
2. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – 2024 წლის 4-15 სექტემბერი.

2. პირველი (შემოდგომის) სემესტრი:

1. სასწავლო მეცადინეობები:
   - ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის, ბაკალავრიატის სწავლების პირველი-მეოთხე წლის, მაგისტრატურის სწავლების მეორე წლის, დოქტორანტურის სწავლების მეორე და მესამე წლის სტუდენტებისათვის, აგრეთვე დამატებითი სემესტრების ყველა სტუდენტისათვის – 2024 წლის 16 სექტემბრიდან 2025 წლის 11 იანვრის ჩათვლით;
   - მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის – 2024 წლის 23 სექტემბრიდან 2025 წლის 11 იანვრის ჩათვლით.
2. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) – 2024 წლის 11 ნოემბრიდან 16 ნოემბრის ჩათვლით.
3. დასკვნითი გამოცდები – 2025 წლის 20 იანვრიდან 1 თებერვლის ჩათვლით.
4. დამატებითი გამოცდები – 2025 წლის 3 თებერვლიდან 8 თებერვლის ჩათვლით.
5. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების დაცვა, აგრეთვე პროსპექტუსების/კოლოქვიუმების (არსებობისას) განხილვა – 2025 წლის 20 იანვრიდან 8 თებერვლის ჩათვლით.
6. არდადეგები – 2025 წლის 1-7 იანვარი, 2025 წლის 9-23 თებერვალი.

3. მეორე (გაზაფხულის) სემესტრი

1. სასწავლო მეცადინეობები – 2025 წლის 24 თებერვლიდან 14 ივნისის ჩათვლით.
2. სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) – 2025 წლის 22 აპრილიდან 27 აპრილის ჩათვლით.
3. დასკვნითი გამოცდები – 2025 წლის 23 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით.
4. დამატებითი გამოცდები – 2025 წლის 7 ივლისიდან 12 ივლისის ჩათვლით.
5. მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში სამაგისტრო ნაშრომებისა და დისერტაციების დაცვა, აგრეთვე პროსპექტუსების/კოლოქვიუმების (არსებობისას) განხილვა – 2025 წლის 23 ივნისიდან 12 ივლისის ჩათვლით;
6. არდადეგები – 2025 წლის 14 ივლისიდან.